

სს „სასხალხო ბანკი“ პედაგოგების დაკრედიტების პროგრამის განახლების შესახებ აცხადებს

დღეს სს „სასხალხო ბანკმა“ პედაგოგების დაკრედიტების პროგრამის განახლების შესახებ განაცხადა. ამ პროგრამის ფარგლებში სს „სასხალხო ბანკის“ სახელფასო პროგრამაში ჩართული სკოლების პედაგოგები შეძლებენ ყოველთვიური ხელფასის სამმაგი ოდენობის, ერთ წლამდე ვადით სესხების მიღებას. აღსანიშნავია, რომ პედაგოგების დაკრედიტების პროგრამა სს „სასხალხო ბანკმა“ ჯერ კიდევ 2006 წელს დაიწყო, თუმცა ბოლო ერთი წლის განმავლობაში ამ პროგრამით გათვალისწინებული სესხები მასიურად არ გაიცემოდა. დღესდღეობით საქართველოში 2,044 საჯარო სკოლაა, აქედან 1,573 სკოლა სს „სასხალხო ბანკის“ სახელფასო პროგრამაშია ჩართული.

„მოხარული ვარ, რომ სს „სასხალხო ბანკმა“ პედაგოგების დაკრედიტების პროგრამა განაახლა. ამ პროგრამის მეშვეობით ჩვენი ბანკის სახელფასო პროგრამაში ჩართული დაახლოებით 30,000 მასწავლებელი მთელს საქართველოში შეძლებს სესხების მიღებას. იმ შემთხვევაში, თუ სხვა საჯარო სკოლები ჩაერთვებიან სს „სასხალხო ბანკის“ სახელფასო პროგრამაში, მათთან მომუშავე პედაგოგებზე შეძლებენ ისარგებლონ სპეციალურად მასწავლებლებისთვის განკუთვნილი ამ სესხებით“, აღნიშნა სს „სასხალხო ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს აღმასრულებელმა თავმჯდომარემ და გენერალურმა დირექტორმა, **ლადო გურგენიძემ**.

**სს „სასხალხო ბანკის“ შესახებ**

სს „სასხალხო ბანკი“ (GSE: AMB) 2002 წელს დაარსდა და სიდიდით მეშვიდე ქართული ბანკია. ბანკის საბაზრო წილმა მთლიანი აქტივების მიხედვით 2009 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით 3.5% შეადგინა. სს „სასხალხო ბანკს“ ქართულ ბანკებს შორის ყველაზე დიდი ფილიალების ქსელი აქვს და იგი 1.5 მილიონ ფიზიკურ პირს უწევს მომსახურებას.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ www.peoplesbank.ge ან დაუკავშირდით:

ლადო გურგენიძეს
სამეთვალყურეო საბჭოს აღმასრულებელი თავმჯდომარე და გენერალური დირექტორი
ელ-ფოსტა: lado.gurgenidze@peoplesbank.ge ან ir@peoplesbank.ge